მატჩი ალმა–ათაში

“ქაირათი” (ალმა–ათა) – “დინამო” (თბილისი) – 0:0.

28 სექტემბერი. ალმა–ათა. ცენტრალური სტადიონი.

“ქაირათი” – ორდაბაევი, შადიევი, ტალგაევი, ბაიშაკოვი, გოსტენინი, ნიკოტენკო, პინჩუკოვი (ნეხტი), სტუკაშოვი, შრომბერგერი, ლეკსინი (ბლანკი), დავიდოვი.

“დინამო” – გაბელია, გ. მაჩაიძე, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, ჭილაია, სულაქველიძე, მ. მაჩაიძე (მუჯირი), ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

მსაჯი: ა. ბუტენკო (მოსკოვი).

დუბლიორები – 3:5.

მიმდინარე ჩემპიონატში დიამეტრალურად საწინააღმდეგო სატურნირო მდგომარეობა აქვთ თბილისელებსა და ალმაათელებს: თუ პირველნი ჩემპიონატის მედლებისათვის იბრძვიან, მეორენი უატსაიდერთა რიგებში იმყოფებიან. აქედან გამომდინარე მატჩის ხასიათიც – მწვავე, შეუპოვარი ბრძოლა უკანასკნელ წუთებამდე.

თბილისელთა შემადგენლობაში ამ დღეს არ იყო დარასელია (იგი ავადაა), ხოლო მეორე ტაიმში ტრავმის გამო მოედნის დატოვება მოუხდა მ. მაჩაიძესაც. ცხადია, ამ დანაკლისმა გარკვეული დაღი დაასვა ჩემპიონის თამაშს.

შეხვედრის პირველი 45 წუთი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, თუმცა უნდა ითქვას, რომ თბილისელებსაც ჰქონდათ ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა, განსაკუთრებით შესვენების წინ, მაგრამ შენგელიამ ყიფიანის ზუსტი გადაცემის შემდეგ ბურთი კარის ზედა ძელს მოახვედრა.

მეორე ტაიმში სურათი არ შეცვლილა – თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. საბოლოოდ ფრე – 0:0.

“ლელო”, 29 სექტემბერი, 1979 წ.